საქართველოს მთავრობის

დადგენილება №228

2019 წლის 15 მაისი

ქ. თბილისი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 11/02/2013, 190040000.10.003.017184) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის 3^3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მუნიციპალიტეტს, რომელიც მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1 მაისს სრულად წარადგენს ხელმისაწვდომი თანხის (ლიმიტის) ფარგლებში განსახორციელებელ პროექტ(ებ)ს და ამ ლიმიტის არანაკლებ 50 პროცენტის ხელმოწერილი ხელშეკრულებების შესახებ ინფორმაციას, მის მიერ ჩატარებული ტენდერ(ებ)ის ფარგლებში წარმოშობილი ეკონომიები რჩება მუნიციპალიტეტის მიერ წარმოშობილი ეკონომიების ასათვისებლად, მიმდინარე წლის 1 მაისამდე შესაბამისი პროექტ(ებ)ის წარმოდგენის შემთხვევაში, რომლის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია, ამ დადგენილებით დამტკიცებული შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1 მაისის შემდეგ წარმოშობილი ეკონომიების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია.“.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული, წარმოშობილი ეკონომიების ასათვისებლად შესაბამისი პროექტ(ებ)ის წარმოდგენის ვადა 2019 წლისთვის განისაზღვრება მიმდინარე წლის 15 ივნისამდე პერიოდით.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**